ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3796103

ნომერი: AR1573362

თარიღი : 29.01.2018

გაცემის თარიღი : 29.01.2018

გაცნობის თარიღი : 29.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ქვემო ლისი , "ჭაბურღილთან" ; ქალაქი თბილისი , სოფელი ქვემო ლისი , "ჭაბურღილთან" ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ალექსანდრე გუჯაბიძე პ/ნ 01017041171
- თბილისი, ბოჭორმის 50/18

ორგანიზაცია:
- შპს ,,ისანი კომფორტი" კოდი: 404480101

ნომენკლატურა :
- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების

გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1573362 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: #72.16.18.775, 72.16.18.775) გაერთიანებასა და შემდგომში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–105 დადგენილებით დამტკიცდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა. რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. თქვენს დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).
,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ “ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილების თანახმად საცხოვრებელ ზონა 1 (სზ-1) წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვან საცხოვრებელ ქვეზონას, რომელიც მოიცავს მხოლოდ არსებულ/დაგეგმილ სასოფლო-სააგარაკო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არასასოფლო-სამეურნეო ან/და საკარმიდამო გამოყენების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. საცხოვრებელ ზონა 1–ში განაშენიანების დომინირებული სახეობაა ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები. დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები (იხ.დანართი).
გაცნობებთ, რომ მოცემულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე ტერიტორიაზე სამსახურის მიერ დადგენილია განაშენიანების რეგულირების ხაზები.
არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა აღნიშნული მიწის ნაკვეთების გაერთიანებასა და მოქმედი ფუნქციური ზონის საცხოვრებელი ზონა 1 (სზ–1)) შესაბამისად და ზემოაღნიშნული განაშენიანების რეგულირების ხაზების გათვალისწინებით სამშენებლოდ განვითარებასთნ დაკავშირებით

ხოლო, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების კონკრეტული პირობების დასადგენად, საჭიროა ელექტრონული განცხადება ატვირთოთ ჩვენი სამსახურის ვებ გვერდზე, კერძოდ: http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურაში:

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.